



თიბისი დაზღვევა  
TBC INSURANCE

საინფორმაციო ფურცელი

ავტომობილის დაზღვევა

**#MO-002/17**



## გამარჯობა

თქვენ ეცნობით ავტომობილის დაზღვევის ძირითად პირობებს. აღნიშნული საინფორმაციო ფურცელი არ შეიცავს ამომწურავ ინფორმაციას და იგი არ არის დაზღვევის ხელშეკრულების ტოლფასი. შესაბამისად, მისი გაცნობა არ წარმოშობს ჩვენს შორის სამართლებრივ შედეგებს.

## ვინ არის მფლვეველი?

მფლვეველი ორგანიზაციაა სს „თიბისი დაზღვევა“ (ს/კ 405042804).

მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #24ბ;

ცხელი ხაზი/ტელეფონი: (+995 32) 242 22 22.

## დაზღვევის ხელშეკრულების სახე

წინამდებარე საინფორმაციო ფურცელი შეიცავს ავტომობილის დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ მოკლე ინფორმაციას. თქვენ მიერ შესაბამისი დაზღვევის შექმნის შემთხვევაში, გადმოგეცემათ დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი „პოლისი“, რომელიც მასში მითითებულ დაზღვევის პირობებთან ერთად, წარმოადგენს დაზღვევის ერთიან ხელშეკრულებას. პოლისში მითითებული დაზღვევის დეტალური პირობების ნახვა შეგიძლიათ ჩვენს ვებ გვერდზე [www.tbcinsurance.ge](http://www.tbcinsurance.ge). თქვენს მიერ დაზღვევის შექმნა გულისხმობს, რომ დაეთახმეთ საიტზე განთავსებულ და პოლისში მითითებულ დაზღვევის პირობებს **#MO-002/17**.

## რა არის დაზღვეული?

ავტომობილის დაზღვევა შედგება სამი სექციისაგან:

- A. **ავტომობილის ძარის დაზღვევისას** - ანაზღაურდება ავტომობილის დაზიანება, თქვენ მიერ შერჩეული და პოლისში მითითებული ფრანშიზის ოდენობის გამოკლებით;
- B. **მესამე პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას** - ანაზღაურდება დაზღვეული ავტომობილის მართვისას, მესამე პირისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებული ზიანი;
- C. **მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევისას** - ანაზღაურდება ავარიის შედეგად დაზღვეულ ავტომობილში მყოფი მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი.

პირადი ან კომერციული (გარდა ტაქსისა) დანიშნულების ავტომობილებისთვის, **მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის** ლიმიტი განისაზღვრება 5 000, 10 000, 25 000, 50 000 ლარი / აშშ დოლარი / ევროთი ავტომობილის სადაზღვევო თანხისა და მომხმარებლის არჩევანის შესაბამისად;

ტაქსის შემთხვევაში **მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის** ლიმიტი განისაზღვრება 5 000 ლარით.

პირადი ან კომერციული (გარდა ტაქსისა) დანიშნულების ავტომობილებისთვის, **მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის** აგრეგირებული ლიმიტი განისაზღვრება 5 000, 10 000, 25 000, 50 000 ლარი / აშშ დოლარი / ევროთი მომხმარებლის არჩევანის შესაბამისად. ლიმიტი ერთ პირზე განისაზღვრება პოლისით.

ტაქსის შემთხვევაში **მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის** აგრეგირებული ლიმიტი განისაზღვრება 5 000 ლარით.

## როგორ ქვეყნებში ვრცელდება დაზღვევა?

- **A სექციისათვის** - დაზღვევა ვრცელდება საქართველოს (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა), სომხეთის, აზერბაიჯანის და თურქეთის ტერიტორიაზე, თუ თქვენი სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გაითვალისწინეთ, რომ საქართველოს ტერიტორიის გარეთ მომხდარი შემთხვევებიდან, ამ სექციაში ანაზღაურდება მხოლოდ ავარიით გამოწვეული ზარალი;
- **B და C სექციებისათვის** - დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა).

## რისგან ხართ დაზღვეული?

ავტომობილის დაზღვევის პირობებით, ანაზღაურდება დაზღვეული ავტომობილისთვის მიყენებული ზიანი, რომელიც გამოწვეულია ქვემოთ მითითებული სადაზღვევო რისკებით:

- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (ავარია);
- ხანძარი, აფეთქება;
- სტიქიური მოვლენები;
- ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ვანდალიზმი;
- საგნის დაცემა.

## თქვენი ფინანსური თანამონაწილეობის შესახებ:

დაზღვევის შესაძენად, უნდა გადაიხადოთ სადაზღვევო პრემია, თქვენს მიერ შერჩეული და მზღვეველთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, რაც ასახული იქნება პოლისში.

თქვენი ფინანსური თანამონაწილეობა, ასევე შესაძლოა განისაზღვროს ფრანშიზის ოდენობით, რომლის არსებობა და ოდენობა შერჩეული იქნება თქვენს მიერ და დაფიქსირდება პოლისში. ასეთ შემთხვევაში, თითოეულ სადაზღვევო შემთხვევაზე გასაცემ ანაზღაურებას დააკლდება პოლისში მითითებული ფრანშიზის ოდენობა.

ფრანშიზის ოდენობა განისაზღვრება ავტომობილის დანიშნულების მიხედვით, მომხმარებლის არჩევანის შესაბამისად:

## ფრანშიზის ვარიანტები პირადი დანიშნულების ავტომობილებისთვის:

ა) ნულოვანი

ბ) ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში - 80 აშშ დოლარი

სრულად განადგურების შემთხვევაში - სადაზღვევო თანხის 10%

გ) ნულოვანი, მაგრამ 80 აშშ დოლარი ავტომობილის დაუდგენელ ვითარებაში ან დაუდგენელი პირის მიერ დაზიანების შემთხვევაში.

**შენიშვნა:** უფლებამოსილი მძღოლ(ებ)ის ასაკის, მართვის გამოცდილების და სადაზღვევო ისტორიის გათვალისწინებით, შესაძლებელია შეთავაზებული იქნეს განსხვავებული ფრანშიზა.

## ფრანშიზა ტაქსებისთვის:

ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში - ზარალის 10% მინ. 200 ლარი,

სრულად განადგურების შემთხვევაში - სადაზღვევო თანხის 20%

## ფრანშიზა კომერციული დანიშნულების ავტომობილებისთვის:

ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში - ზარალის 10% მინ. 100 აშშ დოლარი, სრულად განადგურების შემთხვევაში - სადაზღვევო თანხის 10%

**შენიშვნა:** უფლებამოსილი მძღოლ(ებ)ის ასაკის, მართვის გამოცდილების და სადაზღვევო ისტორიის გათვალისწინებით, შესაძლებელია შეთავაზებული იყოს განსხვავებული ფრანშიზა.

18-25 წლის მძღოლებისთვის, თუ ზარალის დადგომის მომენტისთვის მართვის გამოცდილება ნაკლებია 1 წელზე, მოქმედებს ფრანშიზა: ზარალის 10% მინიმუმ 100 აშშ დოლარი თითოეულ და ყველა შემთხვევაზე.

თუ ავტომობილი წარმოადგენს ნებისმიერი სახის ვალდებულების უზრუნველყოფას, მიუხედავად არჩეული პროდუქტისა, ავტომობილის ძარის დაზღვევის დაფარვაზე სრული განადგურების შემთხვევაში იმოქმედებს ფრანშიზა: სადაზღვევო თანხის 10%.

### **როგორ აქტიურდება სადაზღვევო პოლისი?**

სადაზღვევო პოლისი აქტიურდება პოლისში მითითებული პერიოდის დასაწყისი დღის 24 საათზე, თუ პოლისით განსაზღვრული პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემია გადახდილია სრულად და ავტომობილი მზღვეველის მიერ არის დასურათებული **(სურათების გადასაღებად პოლისის შექმნისთანავე უნდა მიმართოთ თიბისი ბანკის ნებისმიერ ფილიალს ან დაუკავშირდეთ მზღვეველს ცხელ ხაზზე).**

### **როგორ უნდა მოიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას:**

- არ გადაადგილოთ დაზღვეული ავტომობილი შემთხვევის ადგილიდან (თუ არ იქნება მითითება სამართალდამცავი ორგანოების ან მზღვეველის მხრიდან);
- დაუყოვნებლივ დაუკავშირდით თიბისი დაზღვევას ცხელ ხაზზე: (+995 32) 242 22 22 და აცნობეთ სადაზღვევო შემთხვევის/ავარიის შესახებ;
- დაუყოვნებლივ დაუკავშირდით საპატრულო პოლიციას (გარდა იმ შემთხვევისა, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანდა მხოლოდ წინა საქარე მინა ან სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია სტიქიური მოვლენებით).

### **რა არ ანაზღაურდება?**

საერთო გამონაკლისები:

- ზარალი გამოწვეულია სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული დაზიანებით;
- ხარჯები გაწეულ იქნა მზღვეველთან შეუთანხმებლად;
- დაზღვეულ ავტომობილს მართავდა პირი, რომელიც არ არის ამ პირობებით გათვალისწინებული უფლებამოსილი მძღოლი;
- სადაზღვევო შემთხვევა გამოიწვია ავტომობილის ან/და მისი ცალკეული ნაწილების/დეტალების გაუმართაობამ ან დაზღვეული ავტომობილი იმყოფებოდა მართვისათვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში;
- სადაზღვევო შემთხვევა მოხდა უფლებამოსილი მძღოლის არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნის დროს.
- ავტომობილი გამოიყენებოდა კომერციული დანიშნულებით;
- თუ სადაზღვევო შემთხვევა შედეგად მოჰყვა ავტოტრანსპორტის, როგორც ტვირთის, ტრანსპორტირებას, მის დატვირთვას, გადმოტვირთვას, ასევე, საზღვაო, სახმელეთო, სარკინიგზო ან სხვა სახის ტრანსპორტით, მათ შორის ლაფეტით გადაზიდვას ან ბუქსირით გადაადგილებას (არ იგულისხმება

- მზღვეველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ავტომობილის გადაადგილების დროს დამდგარი ზარალი);
- ზარალი გამოწვეულია შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ დაზღვეული ავტომობილის საჯარიმო სადგომზე გადაყვანის ან განთავსებისას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მზღვეველისათვის წარმოდგენილი იქნება უფლებამოსილი პირების ბრალეულობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი;
  - დაზღვეული ავტომობილის მძლოლი გადაადგილდება საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მძლოლის მსგავსი მოქმედება განპირობებულია მესამე მხარის სიციხისა და ქონების გადარჩენის აუცილებლობით;
  - ზარალი გამოწვეული იყო თვითმკვლელობის, თვითდასახიჩრების ჩადენისას ან/და ასეთის მცდელობისას;
  - დაზღვეული ავტომობილი მონაწილეობდა ნებისმიერი სახის რბოლაში ან სისწრაფის გამოცდაში (მათ შორის Off Road);
  - დაზიანებული/განადგურებული ავტომობილის VIN კოდი არ ემთხვევა დაზღვეული ავტომობილის VIN კოდს;
  - სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სრულად და დროულად არ იყო გადახდილი პოლისში მითითებული სადაზღვევო პრემიის პირველი ან ერთჯერადი შენატანი;
  - დამზღვევი/მოსარგებლე/უფლებამოსილი მძლოლი განზრახ გამოიწვევს ან შეეცდება, გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევა ან რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება, გააყალბოს რაიმე დოკუმენტაცია;
  - დამზღვევის მიერ დაზღვევის შექენამდე მზღვეველისათვის მიწოდებული არსებითი ინფორმაცია არასწორი/არაზუსტი აღმოჩნდება;
  - დამზღვევი ან მოსარგებლე უარს განაცხადებს მზღვეველისათვის ზიანზე პასუხისმგებელი მესამე პირის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების გადაცემაზე ან ასეთი უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდა დამზღვევის ან მოსარგებლის ქმედებით;
  - ზარალი წარმოიშვა დაზღვეული ავტომობილის აეროპორტში, აეროდრომზე ან აეროდრომის მინდვრის იმ მონაკვეთზე ყოფნისას, რომელიც გამოიყენება თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენად და გადასაადგილებლად, მათ სადგომად, მომსახურებისათვის განკუთვნილ გზად ან აეროპორტში საბაჟო შემოწმებისათვის;
  - ზარალი წარმოიშვა დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;
  - ზარალი გამოწვეულია იონიზებული რადიაციით ან რადიოაქტიური დაბინძურებით; ატომური/ბირთვული ნივთიერებით; რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ნივთიერების (მათ შორის საწვავის) ტრანსპორტირებით; გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომით; შემოჭრით, საომარი მოქმედებით; სამხედრო ან უზურპატორული ძალაუფლების გამოყენებით; აჯანყებით, გაფიცვით ან სამოქალაქო მღელვარებით; ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით;
  - დამზღვევის ან მოსარგებლის ან უფლებამოსილი მძლოლის მიერ დარღვეულია დაზღვევის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მზღვეველი სხვაგვარად არ გადაწყვეტს;

- დამზღვევი/მოსარგებლე ან უფლებამოსილი მძღოლი მესამე პირის წინაშე თავის ვალდებულებებს აღიარებს მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე;
- როდესაც დამზღვევი ან მოსარგებლე დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების აღდგენით-სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;
- თუ მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე ავტოტრანსპორტს ადგილიდან დაძრავენ (გარდა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლის მიერ გაცემული მითითებების არსებობის შემთხვევისა);
- თუ არსებობდა ორმაგი დაზღვევა, მაგრამ დამზღვევს ამის შესახებ მზღვეველისათვის ინფორმაცია წერილობითი ფორმით არ წარუდგენია;
- თუ ზარალი გამოწვეულია ისეთი ქმედებით, რომლის დროსაც მზღვეველს საქართველოს კანონმდებლობა ანიჭებს უფლებას უარი თქვას ზარალის ანაზღაურებაზე.
- თუ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით დამზღვევის, მოსარგებლის, უფლებამოსილი მძღოლის მიერ მზღვეველისათვის მიწოდებული დოკუმენტაცია/ინფორმაცია არ შეესაბამება რეალურ ფაქტობრივ გარემოებებს.

**ავტომობილის ძარის დაზღვევის, არ ანაზღაურდება შემთხვევები:**

- ზარალს, რომელიც შედეგად მოჰყვა ავტომობილის გასაღების და/ან ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობის ავტომობილში დატოვებას, შუშების ჩაწეულ მდგომარეობაში ან კარების ღია დატოვებას, გასაღების ნებისმიერი არაუფლებამოსილი მძღოლისთვის გადაცემას;
- ზარალს, რომელიც გამოწვეულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული დაზიანებით, ამორტიზაციით, გაუფასურებით, ცვეთით, ჟანგვით, კოროზიით და დაზღვეული რისკების გარდა სხვა მიზეზით გამოწვეული ელექტროსისტემების და ნაწილების მწყობრიდან გამოსვლით;
- დაზღვეულ ავტომობილში/ავტომობილზე დამონტაჟებული არაქარხნული დეტალების/მოწყობილობების/აქსესუარების (მათ შორის ტელე-აუდიო-ვიდეო აპარატურის)/სარკეების დაზიანებას ან განადგურებას, თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული
- დაზღვეული ავტომობილის ტენტის დაზიანებას ან განადგურებას, თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- დაზღვეული ავტომობილის სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრის დაკარგვას ან დაზიანებას გამოწვეულს ნებისმიერი მიზეზით;
- ისეთ ხარჯებს, რომელიც გააუმჯობესებს დაზღვეული ავტომობილის მდგომარეობას სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულთან შედარებით;
- ისეთ სარემონტო ხარჯებს, რომელიც გამოწვეულია დაზღვევამდე არსებული მიზეზით;
- ავტომობილის იმ ნაწილების შეკეთების/ჩანაცვლების/აღდგენის ხარჯებს, რომლებსაც სადაზღვევო შემთხვევამდე აღენიშნებოდა დაზიანება;
- ავტომობილის შეკეთების ხარჯებს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ განთავსებული სერვისის ცენტრის მიერ გაცემული განფასებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მზღვეველი სხვაგვარად არ გადაწყვეტს;
- ავტომობილის შეკეთების შედეგად მისი საბაზრო ღირებულების შემცირებით გამოწვეულ ზარალს;

- ავტომობილის დაუდგენელ ვითარებაში დაზიანებას, თუ დამზღვევი ან უფლებამოსილი მძღოლი აღნიშნულის შეტყობისთანავე, დაუყოვნებლივ არ დაუკავშირდა მზღვეველს, საპატრულო პოლიციას ან თუ ავტომობილი სადაზღვევო შემთხვევის ადგილიდან გადააადგილეს მზღვეველის ნებართვის გარეშე;
- საბურავის დაზიანებას, თუ მასთან ერთად არ მომხდარა ავტომობილის სხვა ნაწილების დაზიანება;
- ზარალს, რომელიც გამოწვეულია მესამე პირის მიერ ჩადენილი თაღლითობით, გამოძალვით, მითვისებით ან ასეთის მცდელობით;
- დაზღვეული ავტომობილის მესაკუთრის ან მძღოლისთვის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ ნებისმიერ ადმინისტრაციულ თუ სხვა სახის ჯარიმას და ასევე საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯებს;
- თუ მზღვეველი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, დაზიანებული გზის საფარით გამოწვეულ ავტომობილის სავალი ნაწილის, ტრანსმისიის, ძრავის, საბურავების და დისკების დაზიანებას;
- საერთო პირობების გამონაკლისებში ჩამოთვლილ შემთხვევებს;
- წინამდებარე პირობებით დაზღვევას არ ექვემდებარება შემდეგი სახის ავტოტრანსპორტი: საქართველოში არარეგისტრირებული ავტომობილები, ბრონირებული ავტომობილები, ანტიკვარული, სპეც. შეკვეთით დამზადებული, უნიკალური მოდელები, ავტომობილები, რომლებშიც ჩამონტაჟებულია აპარტურა/დანადგარი, მოტოციკლები, კვადროციკლები.

მესამე პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას, ზემოთ ჩამოთვლილ გამონაკლისებთან ერთად, არ ავანაზღაურებთ შემთხვევას:

- იმ შემთხვევას, როდესაც დაზარალებული წარმოადგენს: პირს, რომელიც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მომენტში მართავდა დაზღვეულ ავტომობილს; ან დამზღვევი პირის (ასევე უფლებამოსილი მძღოლის) ოჯახის წევრს, ასევე, დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების მგზავრს;
- ნებისმიერი ქონებისათვის მიყენებულ ზიანს, რომელიც წარმოადგენს უფლებამოსილი მძღოლის საკუთრებას, მინდობილი საკუთრების სახით ინახება მასთან, გადაიზიდება დაზღვეული ავტომობილით ან დაზღვეულ ავტომობილზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით;
- მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მესამე პირის წინაშე აღიარებულ პასუხისმგებლობას და გაწეულ ხარჯებს;
- მესამე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას/გარდაცვალებას სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ;
- ნებისმიერი ხასიათის მორალურ ზიანს;
- წმინდა ფინანსურ ზარალს, როდესაც არ იკვეთება მესამე პირის ქონების და ჯანმრთელობის დაზიანება /განადგურება;
- ნებისმიერი სახის სტიქიური მოვლენით გამოწვეულ სადაზღვევო შემთხვევას;
- საერთო პირობების გამონაკლისებში ჩამოთვლილ შემთხვევებს;

მძღოლისა და მგზავრების დაზღვევა უბედური შემთხვევისაგან, ზემოთ ჩამოთვლილ გამონაკლისებთან ერთად, არ ავანაზღაურებთ:

- თუ მძღოლი ან/და მგზავრები გარდაიცვალნენ ან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ;
- საერთო პირობების გამონაკლისებში ჩამოთვლილ შემთხვევებს.

## ანაზღაურების ძირითადი პირობები

სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე მოთხოვნა მზღვეველს წარდგინება წერილობითი ფორმით.

დაზღვევის პერიოდში, ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ ზიანის დადგომისას სადაზღვევო თანხა ნაკლებია ავტომობილის საბაზრო ღირებულებაზე, გამოიყენება ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურების პროპორციული მეთოდი.

სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ზარალის შესაბამისად, ფრანშიზის და სადაზღვევო თანხის გათვალისწინებით.

თუ ავტომობილის აღდგენის ღირებულება სცდება სადაზღვევო თანხის 40%-ს, ასანაზღაურებელ თანხას ასევე გამოაკლდება დამზღვევის მიერ დარჩენილი სადაზღვევო პერიოდისათვის მზღვეველისათვის გადასახდელი სადაზღვევო პრემია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მზღვეველის მიერ ზარალის დარეგულირება და ზარალის ანაზღაურებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის ზარალის რეგულირებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაციის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## რამდენ დღეში ანაზღაურდება ზიანი?

ზიანის ანაზღაურება მოხდება ჩვენს შორის ზიანის ოდენობაზე წერილობითი შეთანხმების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

## ხელშეკრულების შეწყვეტა და სხვა ფინანსური ხარჯი

დაზღვევა შეიძლება შეწყდეს, როგორც თქვენი, ისე სადაზღვევო კომპანიის მოთხოვნით, ნებისმიერ დროს, ინიციატორი მხარის მიერ, მეორისთვის დაზღვევის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში წერილობითი შეტყობინების გზით ან დაზღვევის პირობებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში და წესით.

წინასწარი შეტყობინების გარეშე, დაზღვევა ასევე შეწყდება, თუ თქვენ არ იხდით სადაზღვევო პრემიას და პოლისში მითითებული გადახდის თარიღიდან გადაცილებულია 30 კალენდარული დღე (იგულისხმება პოლისში მითითებული გრაფიკით გათვალისწინებული ნებისმიერი გადახდა, გარდა პირველი გადახდისა).

რაც შეეხება პრემიის პირველად გადახდას, თუ თქვენ პირველ ან ერთჯერად სადაზღვევო პრემიას სრულად არ გადაიხდით სადაზღვევო პერიოდის დაწყების თვის შემდგომი კალენდარული თვის 1 რიცხვამდე, პოლისი ავტომატურად გაუქმდება მისი გაცემის თარიღიდან.

დამზღვევის ინიციატივით პოლისის შეწყვეტისას, თქვენ ვალდებული ხართ 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით მოგვმართოთ გაუქმების მოთხოვნით.



ა) თუ შეწყვეტამდე ადგილი არ ჰქონია სადაზღვევო შემთხვევას, თქვენ ვალდებული ხართ გადაიხადოთ გაუქმების თარიღისათვის გამომუშავებული პრემია და გამომუშავებული პრემიის 10%.

ბ) თუ შეწყვეტამდე ადგილი ჰქონდა სადაზღვევო შემთხვევას, თქვენ ვალდებული ხართ სრულად გადაიხადოთ პრემია.

### **მომხმარებელთა უფლებების დაცვა:**

დაზღვევის პირობებით ან მომსახურების ხარისხით უკმაყოფილების შემთხვევაში, შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს, დაგვირეკოთ ცხელ ხაზზე: (+995 32) 242 22 22 ან მოგვმართოთ ელექტრონული ფორმით ჩვენი ვებ გვერდის საშუალებით: [www.tbcinsurance.ge](http://www.tbcinsurance.ge). ასევე, შეგიძლიათ თქვენი საკითხი დააფიქსიროთ ჩვენს წარმომადგენელთან, მისამართზე: თბილისი, ალ. ყაზბეგის 24ბ. II სართული;

ქუთაისი, გრიშაშვილის ქუჩა #16;

ფოთი, აღმაშენებლის #57;

ბათუმი, ზუბალაშვილის #37;

ზუგდიდი, გამსახურდიას #35.

თქვენს შეტყობინებას განიხილავს სატელეფონო ცენტრისა და ხარისხის მართვის განყოფილება, შეტყობინების დაფიქსირებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

### **მონაცემთა დაცვა:**

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კომპანიის ცხელ ხაზზე შემომავალი ყველა ზარი იწერება.

თქვენი პერსონალური მონაცემები დამუშავდება დაზღვევის პირობებში მითითებული მიზნებისთვის.

### **ინფორმაცია ჩვენი საზედამხებლო ორგანოს შესახებ:**

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხებველობის სამსახური  
მისამართი: ქ. თბილისი, ლევან მიქელაძის ქ. #3

**გმადლობთ, რომ სარგებლობთ ჩვენი მომსახურებით!**